

## ლექსიკური შეხვედრები V-XVIII ს.ს. სამწერლობო ქართულსა და სამხრულ დიალექტებში

ზარამიძე მაია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.26>

**აბსტრაქტი.** გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების, ფოლკლორის, ყოფის ინტენსიური შესწავლა. კვლევებმა აჩვენა, რომ ჭოროხის აუზში ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი... ხეობის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და მეზობელ რეგიონებთანაც... მათი მეტყველება ერთმანეთთან ახლოს მდგომი დიალექტებია, ამიტომაც გამოვყოფთ მათ ცალკე ჯგუფად და ვუწოდებთ **სამხრულ დიალექტებს** ან **სამხრულ მეტყველებას**. შესაბამისად, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით **სამხრულ კილოებს** ქმნიან **აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური**.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზეა აჭარული დიალექტი, კლარჯულის (სამი სოფელი: მირვეთი, ქვემო მარადიდი, კირნათი) და შავშურის ნაწილი (ისტორიული შავშეთის - მაჭახლის ხეობის ქვემო წელი). სამხრული დიალექტების ძირითადი ნაწილი კი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, ამიტომ ბევრგან ქართული დავიწყებულია, მაგრამ გადარჩენილ ქართულს საინტერესო ფორმები და ლექსიკური ერთეულები შემოუნახავს.

სამხრულ დიალექტებში შემორჩენილი ზოგიერთ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა ემთხვევა V-XVIII საუკუნეების სამწერლობო ქართულში დადასტურებულ სიტყვათა მნიშვნელობებს. ნაშრომში განვიხილავთ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს:

**განქარვება – გაქრობა’, გაფანტვა’:** ღმერთმა **გიგიქაროს**, რაცხა დერდი გაქ.

**შეცევა – შებრუნება’:** კარში არ გუუშვებდით, არ **შუუქციოსო**.

**მოდრეკა, მოდრეკილი, მოდრეკილობა – დამდაბლება’, დახრა’, მუხლის მოყრა’;**  
**მოხრილობა’:** შუამთაში შეველ, ეკლესია დაბალი იყო, **მოდრეკილი** შეველ.

**ცუდი – ფუჭი’, უქმი’:** **ცუდე** რამ მარები.

**ძელი/შეშა – ხე’, ფიცარი’:** **ძელის** სახლებ გავაკეთებდით; **შიშის**(<შეშის) მუხი გააკათავდენ.

**ჯინჭველი – ჭინჭველი’:** **ჯინჭველია**, ანტეროლლი ანტერი!

**მზის-თუალი – მზე’:** ერთი-ორი დღე ცივია, იმის უკან **ზითვალია**; **ბზითუალი** ჩევდა, გო, არ შეგეწყინა?

**სული – სუნი’:** რა კად **სული** გიდისო.

**ტაროსი – ამინდი’:** **ტაროსები** აცივდება, წავალთ;

სამხრულ მეტყველებაში იძებნება არაერთი სხვა სიტყვა, რომლებიც დასტურდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, რაც სამხრული დიალექტებისა და ქართული სამწერლობო ენის მიმართების შესასწავლად მნიშვნელოვანი მასალაა.

**საკვანძო სიტყვები:** სამხრული დიალექტები, აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური, არქაული ლექსიკა, ქართული სამწერლობო ენა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების, ფოლკლორის, ყოფის ინტენსიური შესწავლა.

დაგროვდა ბევრი ახალი მასალა. კვლევებმა აჩვენა, რომ ჭოროხის აუზში ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი... ხეობის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და მეზობელ რეგიონებთანაც... მათი მეტყველება ერთმანეთთან ახლოს მდგომი დიალექტებია, ახასიათებთ საერთო ფონეტიკური და გრამატიკული გარდაქმნები, ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც, ამიტომაც „გამოვყოფთ მათ ქართული ენის დიალექტთა ცალკე ჯგუფად და ვუწოდებთ **სამხრულ დიალექტებს** ან **სამხრულ მეტყველებას**“ (ცინცაძე, ფაღავა, 1998; ფაღავა, 2003; შავშური, 2022...). სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებიც არსებობს (იხ. მარტიროსოვი, 1972; ფუტკარაძე, 1987; ფუტკარაძე, 1995; ჯორბენაძე, 1989; გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961...).

ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფის სურათი შეიცვალა, შესაბამისად – ტერმინოლოგიაც, კერძოდ, შემოგვაქვს ტერმინები: **შავშური დიალექტი** კილოკავებით: **იმერხეული, მაჭახლური; კლარჯული დიალექტი** კილოკავებით: **ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული** (ლივანური); **ტაოური დიალექტი; აჭარული დიალექტი** კილოკავებით: **ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური** (ფაღავა, 2013: 136-141).

ქართულ ენათმეცნიერებაში ცალკე დიალექტად გამოიყოფენ მუჰაჯირთა მეტყველებას (ფუტკარაძე, 1993; 1995). მუჰაჯირთა მეტყველება არაა ერთიანი, შესაბამისად, იგი ცალკე დიალექტად ვერ გამოიყოფა, მაგრამ არის ძვირფასი მასალა სამხრული დიალექტების შესასწავლად.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზეა აჭარული დიალექტი, კლარჯულის (სამი სოფელი: მირვეთი, ქვემო მარადიდი, კირნათი) და შავშურის ნაწილი (ისტორიული შავშეთის - მაჭახლის ხეობის ქვემო წელი). სამხრული დიალექტების ძირითადი ნაწილი კი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, ამიტომ ბევრგან ქართული დავიწყებულია, მაგრამ გადარჩენილ ქართულს საინტერესო ფორმები და ლექსიკური ერთეულები შემოუნახავს.

დიალექტებში არქაიზმების გამოვლენა მნიშვნელოვანია ენის ისტორიის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი ყოველთვის იქცევა სპეციალისტთა ყურადღებას.

სამხრულ დიალექტებში გავრცელებული ბევრი სიტყვის მნიშვნელობა ემთხვევა V-XVIII საუკუნეების სამწერლობო ქართულში დადასტურებულ სიტყვათა მნიშვნელობებს.

● **განქარ(ვ)ება** – ხშირად გვხვდება ძველ ქართულში. ილ. აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონში მის რამდენიმე მნიშვნელობას მიუთითებს: **დაშლა, მოშლა; დარღვევა, დახსნა; გაქრობა, გაფანტვა; შეფერხება, დაბრკოლება; „განქრევა“, „მოსპობა“** (აბულაძე, 1973:72). იმოწმებს მაგალითებს წერილობითი ძეგლებიდან: „რომელმან-იგი **განაქარვა** სიკუდილი“ II ტიმ. 1,10; „ვითარცა ნისლი **განქარდეს**“ სიბრძ. სოლ. 2,4...

გაქრობის’, გაფანტვის’ მნიშვნელობით ხშირად გვხვდება კლემაქსის ეფთვიმე ათონელისეულ და პეტრე გელათელისეულ ქართულ პროზაულ თარგმანებში:

დუმღმან იესუდმან სირცხულ-ყო პილატე და ჯელმან კაცისა მდუმარისამან **განაქარვა** ცუდი დიდება (კლემაქსი, 2024:424); ხოლო რომელნი არა ჯერისაებრ ადასრულებდენ მას, ესე არს სიგლახაკისა მათისა სახე: აღორძინება გულისწყრომისა; დაუნჯება ძვრისცსენებისა; სიყუარულისა **განქარვება** (კლემაქსი, 2024: 674); ლოცვად არს მის ძლითისაებრ ვიდრემე მოქმედებისა თანამყოფობად და შეერთება კაცისა და ღმრთისა; ...გულისწყრომისა **განქარვება** (კლემაქსი, 2024:693).

გაქრობის’, გაფანტვის’ მნიშვნელობით მისი სინონიმია **განქრევა**. ილ. აბულაძეს მოჰყავს მაგალითი პარალელური რედაქციებიდან: „ვითარცა აღმურმან **განაქარვნეს** იგინი“ ps. – „ვითარცა არმურნი **განაქრინეს** იგინი“ O, სიბრძ. სოლ. 5,24.

**განქარვება**’ გაქრობას’, გაუჩინარებას’ ნიშნავს ზოსიმეს „სწავლას“ ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში: **განქარდა** ბოროტი იგი განზრახვად მათი. პარალელურ რედაქციაში, თეოფილე ხუცესმონაზონისეულ თარგმანში გვაქვს **ცუდ, ამაო ქმნა**’ (=უსარგებლოდ ქცევა): **ცუდ იქმნა და ამაო** განზრახვად მათი (ზარამიძე, 1999:24).

შავშურ დიალექტში გვაქვს **გაქარება** (ანგანქარ(ვ)ება) არქაული გაქრობის, გაფანტვის, გაუჩინარების მნიშვნელობით: *ღმერთმა გიგიქაროს, რაცხა დერდი გაქ.*

● **შექცევა – ქცევას** ძველ ქართულში სხვადასხვა ზმნისწინით სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა: **მიქცევა** – მიბრუნება; **მოქცევა** – მობრუნება; **შემოქცევა** – შემობრუნება; **შექცევა** – შებრუნება.

იესუ სავსე სულითა წმიდითა **მოიქცა** იორდანით (ლ.4,1); მოკითხვად ეგე შენი შენდავე **მოიქცენ**... (შუშ. II, 11); **მოიქციან** ერთობით სადგურადვე თვსად (ექუსთ. 102, 22).

კლარჯულში გვაქვს **შექცევა**, ნიშნავს **შებრუნებას**, ამბობენ ავადმყოფობაზე - არ შეაბრუნოსო:

*კარში არ გუუშვებდით, არ **შუუქციოსლ**.*

აჭარულში არა გვაქვს **მოქცევა**, **მიქცევა**, მაგრამ არის **ფეხნაქცევა** და ნიშნავს გათხოვილი ქალის ქორწილის შემდეგ პირველად მისვლას მამისეულ ოჯახში (**მიბრუნებას, მობრუნებას**), ასევე სიძის პირველ სტუმრობას სიძამრის ოჯახში (ნოლაიდელი, 1976:22).

**ფეხნაქცევა** რომ მუა, მაშინ შევჯერებ გულს, ყოლიფერს ვეტყვი; გოგო გიგითხვებია, **ფეხნაქცევა** არ ყოფილა?

შ. ფუტკარაძე „ჩვენებურების“ მეტყველებაში ადასტურებს აღნიშნულ სიტყვას და განმარტავს: „**ფეხნაქცევა** – გათხოვილი ქალის პირველად მისვლა მამისეულ ოჯახში, რომელიც ჩვეულებრივ ორმოცი დღის შემდეგ ხდება“:

*ძალი **ფეხნაქცევა** წეიყუანეს და ერთ-ორ კვირას არ იქნება* (ფუტკარაძე, 1993; შდრ. ნიჟარაძე, 1971).

● **მოდრეკა, მოდრეკილი, მოდრეკილობა – დამდაბლება, დახრა, მუხლის მოყრა; მოხრილობა**: „**მომიდრეკე** სარწყული შენი, რათა ვსუა“ O, დაბ. 24,14; „ყოველი მჭარი, **მოდრეკილი**“ O, ეზეკ. 29,18; „**მოდრეკილობა** ნიკარტისა მისისაა“ ბ. კეს. ექუს. დღ. 111,26 (აბულაძე, 1973:262).

**მოდრეკა, მოდრეკილი** გვხვდება კლარჯულში ძველ სალიტერატურო ქართულში გავრცელებული მნიშვნელობით – **მოხრა, მოხრილი**:

*შუამთაში შეველ, ეკლესია დაბალი იყო, **მოდრეკილი** შეველ.*

● **ცუდი** – განიმარტება, როგორც **ფუჭი, ცრუ, უქმი**, პარალელურ რედაქციებში ენაცვლება „**ცალიერი**“, „**ამაო**“, „**ამაოება**“, „**უსამართლო**“: „წარავლინეს იგი **ცუდი** (**ცალიერი**DE)“, მრ. 12,3; „ყოველითავე **ცუდ** არს (**ამაო** არს ო) ყოველი კაცი ჯორციელი“ ფს. 38,6; „მომიძულეს მე **ცუდად**“ ი. 15,25 – „მომიძულეს მე უსამართლოდ“ ფს. 37,20... **ცუდადი** – **ამაო, ცრუ**: „**ცუნდრუკება** **ცუდადი** უძვრეს არს სიკუდილისა“ O, ზირ. 26,6 (აბულაძე, 1973:520).

კლარჯულში გვაქვს **ცუდე** არქაული მნიშვნელობით: **ამაოდ, ტყუილად**: **ცუდე** რამ დარები.

● **ძელი** – ძველ ქართულში სინონიმებია **ძელი, შეშა, ხე**: „მოეგო კათხად ერთი **ძელისა**“ ლომ. 26, 13; „შჯობს ცხორება გლეხისა სართულთა ქუეშე **ძელისათა**“ O, ზირ. 29,29 (აბულაძე, 1973:524).

**ხე** და **ძელი** პარალელურ რედაქციებში ენაცვლებიან ერთმანეთს: „უკუეთუ **ძელსა** ნედლსა ამას უყოფენ, ჳმელსა მას რად-მელა უყონ?“ ლ. 23, 31C – „უკუეთუ ნედლსა **ხესა** ესრეთ უყოფენ, ჳმელსა მას რად-მე ეყოს“ DE (აბულაძე, 1973:524).

„დაუტეო თავი შენი, ვითარცა **შეშა** ჳმელი“ O, ზირ. 6,3; „არარად მოიგო ყოვლად საჭმართაგან ამის სოფლისათა თვნიერ პალეკარტი ფლასისა და ერთი ჳილი და ერთი თასი **შეშისა**“ მ. ცხ. 167r (აბულაძე, 1973:494).

**შეშა/შეშა** არქაული მნიშვნელობით (**ხე**) ფართოდ არის გავრცელებული თურქეთის კლარჯულში, საერთოდ სამხრულ კილოებში, გარდა აჭარულისა. არ გვხვდება იგი კირნათ-მარადიდის მეტყველებაში (ზარამიძე, 2024:73).

აღსანიშნავია, რომ აჭარულშიც **ხე** და **ძელი** (ფიცრის მნიშვნელობითაც) ენაცვლებიან ერთმანეთს:

*სახლისთინ **ხიები** მუუტანია; **ხის** სახლი კაია ჳამთელობიზა; **ძელები** დუუწყია ჳიშკართან; ერთი **ფიცრის** სახლი ქონებია* (ცინცაძე, ფაღავა, 1998: 135).

კლარჯულ დიალექტშიც **ძელი** ისევე როგორც **შემა** გამოიყენება არქაული მნიშვნელობით – **ხე**, **ფიცარი**: *ძელის სახლებ გავაკეთებდით.*

როგორც ვხედავთ, სამხრულ კილოებს შემოუნახავთ ძველი ქართულის ვითარება.

● ძველი ქართული **მზის-თუალი** არის ამოსავალი სამხრულ დიალექტებში – კლარჯულსა და ტაოურში, სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით ფართოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულისა – **ზითუალი/ზითუალი/ზითვალი**.

**მზის-თუალი – მზე**: „ვერ იხილოს ნათელი **მზის-თუალისა**“ ფიზ. 1,6; „განანათლოს ყოველი ქუეყანა უფროდს **მზის-თუალისა**“ მ. სწ. 212,13 (აბულაძე, 1973:238).

სამხრულ მეტყველებაშიც **ზითუალი/ზითუალი/ზითვალი** ერთგნებანი კომპოზიტია, აღნიშნავს **მზეს**, **მზიან ამინდს**:

*ერთი-ორი დღე ცივია, იმის უკან **ზითვალია**. **ზითვალი** იქიდან აშუა, აქდა ჩევდეს; **ზითვალი** ჩეერბინა, თან გავადე და წამუელი; **ზითუალი** ჩევდა, გო, არ შეგეწყინა? **ზითვალი** ჩანს, დალამდა (კლარჯ.); „ვიცი თვარე, ზე, **ზითუალიც** ვიცი“ (ტაო).*

**მზისთუალი** ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში:

უბრწყინვალეს არიან **მზისთუალისა** (კურიაკ. 211); ... ექუსთა მათ დღეთა ვერ კელ–ეწიფის ზე ახილვად და ხილვად **მზისთუალისა** (იქვე, 211); უფროდს ბრწყინვალეებასა **მზისთუალისასა** განჰფინა ბრწყინვალეება იგი სახარებისა თვისისა ყოველთა ცის კიდეთა და ვითარცა **მზის-თუალმან**... ერთბამად შთააცვს სამკაულისა მისისა დაბადებულთა... რამეთუ **მზისთუალმან** ბრწყინვალეებად თვისი დღისი ხოლო აჩუენოს (უდაბნ. მრ. 252, 9).

ბ. გიგინეიშვილს „**მზითუალი**“ მიაჩნია მსაზღვრელ–საზღვრულის „ერთგნებანი კომპოზიტად ქვევის ძალზე საინტერესო შემთხვევად“ (გიგინეიშვილი, 1983: 88). ავტორი ასახელებს ამ სიტყვის ხმარების მრავალ მაგალითს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან, მიუთითებს მის მნიშვნელობებზე – **მზე**, **მზის ბირთვი**, **სფერო**, **მზის სხივი** და ეტიმოლოგიურად უკავშირებს ერთმანეთს „**თუალსა**“ და „**მზეს**“, ასაბუთებს ქართული **მზისთუალის** სომხურიდან მომდინარეობის მოსაზრების მცდარობას (მარი, ჰრ. აჭარიანი). სხვა ენების (ირლანდიური, ბერძნული, ლათინური) მონაცემებთან ერთად იმოწმებს იმასაც, რომ **მზისთუალი** გვხვდება არა მარტო წერილობით ძეგლებში, არამედ შემორჩენილია ავღრინობის საწინააღმდეგო ძველი რიტუალის – ქართლ-კახური „ლაზარობის“ სასიმღერო ტექსტში (მიუთითებს ივ. ჯავახიშვილს). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ **მზისთუალი** (**ზითუალი/ზითუალი**) ქართული ენის მხოლოდ სამხრულ დიალექტებშია შენახული. იგი აქ ფართოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულია. სამხრულ დიალექტებში ამ სიტყვის არსებობა კიდევ ერთ დამატებით საბუთად შეიძლება გამოდგეს ბ. გიგინეიშვილის მტკიცებისათვის (**მზის-თუალის** წარმომავლობის შესახებ იხ. აგრეთვე მაგალობლიშვილი, 1985:21).

● დღევანდელი სალიტერატურო ქართულის **ჭიანჭველას** ნაცვლად სამხრულ მეტყველებაში არის **ჯინჭველი**. **ჯინჭველი** არქაულია.

**ჯინჭველი – ჭინჭველი**: „იქმენ ვითარცა **ჯინჭველი**, ზ მცონარო“ M, ივ. სოლ. 6,6 (აბულაძე, 1973:574).

რამსაებრ უკუე განეყოფვის კაცი **ჯინჭველსა**? (ამონ. ერმ. 92,34); **ჯინჭველი** შეიპყარ (სიბრძ. 7); მცონარს სოლომონ ამაგებს, **ჯინჭველი** მოსწონს ქებითა (ქილ.დამ. 3).

***ჯინჭველია**, ანტეროლი ანტერი! (კლარჯ.); **ჯინჭველმა** გიკბინა, დეგანჯან, **ჯინჭველმა**? აქ ბევრი **ჯინჭველია** არი (შავშ.).*

იგი ეკუთვნის იმ სახელთა რიცხვს, რომელთაც ძველ ქართულში ფუძე თანხმოვანზე უთავდებოდათ, დროთა განმავლობაში კი იქცნენ ხმოვანფუძიანებად (მანჯგალაძე, 1956:171-186).

აჭარულში გავრცელებულია ხმოვანფუძიანი ვარიანტი:

*ერთ ტიალ მინდორზე იმტენი ხალხია მოყრილი, რომ **ჯინჭველა** არ ჩავარდება.*

● **სული – სულს** ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „კაცი“, „გუამი“, „თავი“; თავისთავი; ჰაერი, ქარი, სუნთქვა, „ორთქლი“; სუნი; ბოროტი სული; სული წმიდა: „შორითვე **სული** ეცის ბრძოლისა“ O, იობ. 39, 25; „ვითარცა-იგი რაჟამს იყნოსი **სული** მძორისა,

მუნთქუესვე დაიბურნი საყნოსელნი შენნი“ მ.სწ. 259, 13... (აბულაძე, 1973:404).

ჩვენთვის საყურადღებო მნიშვნელობაა **სუნი**. ამ მნიშვნელობით **სული** ფართოდაა გავრცელებული სამხრულ დიალექტებში:

*ლორი ხორც ჭამენ? ის იჭმის? **სული** უდის; რა ლამაზათ ყარს! რა ლამაზი **სული** აქს! ყრალი **სული** უდის ანწლის ფურცელ; გასხნა კონსერი, დადგა ბეთი **სული** (შავშ.); რა ჯობია მაისის ვარდის **სულს**; რაცა დაწვილი ჭინჭის **სული** მცემს...(აჭარ); ქვილის **სული** წუფვა; ჰამა გოგომ „ყარსო“ განა არ უთხრა მეგერ, „რა კა **სული** გიდისო“; „ფუ, რა ბეთი **სული** გიდისო“ (კლარჯ.); **სული** არ არი...; შად ყურძენი არი აქ, **სულიან** ყურძენ ეტყვიან იმა; **სული** აქვა, დასუნავ - **სული** აქვა; ათი სანთიმი ტალახი'ნა დაასხა, ბოსლიდამ **სული** არ გამოადესო (ტაო).*

იხ. ასევე: **სულნელება, სურნელება** – სუნი, სურნელოვნება: სახლი იგი ადივსო **სულნელებითა (სურნელებითა C)** მით ნელსახებლისადათა ი. 12,3 (აბულაძე, 1973:405).

გარდა სუნისა **სული** **სულსაც** ნიშნავს: *გ ზევნარმა ამართვა **სული**...*

არნ. ჩიქობავას სუნ-სულ-ის სემასიოლოგიური დიფერენციაცია მეორეულ მოვლენად მიაჩნია, „თავდაპირველად მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ (შდრ. სულ-ნელ-ი, აქედან: სურნელება); სულ- აქ სუნ-ს ნიშნავს“ (ჩიქობავა, 1942:43, შნშ.1).

● **ტაროსი** – ჰავა: მოელიან მომზავებელსა... **ტაროსსა** მ. ცხ. 198v (აბულაძე, 1973: 411).

**ტაროსი** გვხვდება სამხრულში ოლონდ **ამინდის** მნიშვნელობით: **ტაროსები** აცივდება, წავალთ; ხედავ, **ტაროსმა** მეძაგებდა; თუ **ტაროსი** კააა, კარში მივართვამთ [საჭმელს]; იტყვიან: „კაი **ტაროსია**“, „**ტაროსი** მომლილია“ (კლარჯ.); თუ გონჯი დარი დარჩა, იმ წელწაც გონჯი **ტაროსები** იქნება და მოსავალიც ნაკლები მუა; ზამფხულობით, თიბილ **ტაროსეფში**, საქონელ გარეთ ვაჩერეფთ ჰალილოში; წრევანდელი **ტაროსები** არ მომწონს (აჭარ.).

სამწერლობო ქართულისა და სამხრული დიალექტების ლექსიკური შეხვედრები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ქართული სალიტერატურო ენისა და სამხრული დიალექტების ურთიერთმიმართების შესასწავლად, ასევე ფაქტია იმისა, რომ მნიშვნელოვანია სამხრული მეტყველების წვლილი სამწერლობო ქართულის ჩამოყალიბებაში.

#### **ლიტერატურა და წყაროები:**

აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. მეცნიერება.

ბარამიძე, მ. (1999). ზოსიმეს „სწავლას“ ქართული თარგმანები. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო მია ბარამიძემ. I. მონოგრაფია. ბათუმი: ბსუ გამომცემლობა.

ბარამიძე, მ. (2024). ზოგიერთი ლექსიკური არქაიზმი სამხრულ დიალექტებში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, პროგრამა და მოხსენებები: 71-74.

გიგინეიშვილი, ბ. (1983). მასალები ქართული ენის ეტიოლოგიური ლექსიკონისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2: 85-90.

გიგინეიშვილი, ბ. თოფურია, ვ. ქავთარაძე, ივ. (1961). ქართული დიალექტოლოგია. მონოგრაფია. თბ.

მანჯგალაძე, ა. (1956). -ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის აგებულებისათვის ქართულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში: 171-186.

მარტიროსოვი, ა. (1972). ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. თბილისი.

მგალობლიშვილი, თ. (1985). ევსევი ალექსანდრიელის სახელით ცნობილი ერთი თხზულების წყაროს საკითხი. მრავალთავი. XI: 20-25.

ნიჟარაძე, შ. (1971). აჭარული დიალექტი. ბათუმი.

ნოლაიძელი, ნ. (1979). მასალები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონისათვის. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I: 22-26.

ფაღავა, მ. (2003). სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია. ბათუმი.

ფაღავა, მ. (2013). მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკური შედგენილობის საკითხი. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: 136-141.

ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2022). ქართული ენის შავშური დიალექტი. ბათუმი.

ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2023). ქართული ენის კლარჯული დიალექტი. თბილისი.

ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2024). ქართული ენის ტაოური დიალექტი. თბილისი.

ფუტკარაძე, შ. (1987). აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა. აჭარული დიალექტის დარგობრივი

ლექსიკა, VI. თბილისი.

ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული. ბათუმი.

ფუტკარაძე, შ. (1995). ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სად. მაცნე. თბ. ჩიქობავა, ა. (1942). სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. მონოგრაფია. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ცინცაძე, მ. (2024). იოანე სინელის „კლემაქსი“ (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი). ბათუმი: გამომცემლობა „თეგი“.

ცინცაძე, მ., ფალავა, მ. (1998). სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII ს.ს.). მონოგრაფია. ბათუმი.

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია. I. მონოგრაფია. თბილისი: გამომც. „მეცნიერება“.

## Lexical Correspondences between 5th–18th Century Literary Georgian and Southern Dialects

Baramidze Maia

Shota Rustaveli Batumi State University, Batumi

### Abstract

Since the 1990s, comprehensive research has been undertaken into the language, folklore, and cultural practices of the indigenous population and descendants of the Muhajirs from the Chorokhi Valley. The findings indicate that several historical regions—Adjara, Shavsheti, Klarjeti, Tao, and Speri—took shape within the Chorokhi river basin. The inhabitants of these areas maintained close interaction both internally and with neighboring regions, resulting in speech forms that are linguistically adjacent. Consequently, these varieties are classified as a distinct group, commonly referred to as **Southern dialects** or **Southern Georgian speech**. From a linguistic, historical, and geographical perspective, the Southern dialects encompass Adjarian, Shavsheti, Klarjeti, and Tao subvarieties.

Today, the Adjarian dialect remains in active use within the borders of Georgia, along with fragments of the Klarjeti dialect (three villages: Mirveti, Kvemo Maradidi, and Kirnati) and the Shavsheti dialect (in the lower Machakhlistskali Gorge, a part of historical Shavsheti). However, the majority of these dialects are now located within the territory of the Republic of Turkey, where Georgian is largely forgotten. Nevertheless, the remaining Georgian speech has preserved valuable linguistic elements and archaic lexical units.

Certain words preserved in the Southern dialects display meanings that directly correspond to those found in literary Georgian texts dating from the 5th to the 18th centuries. This paper examines several such lexical items:

**gankarveba – to vanish’, to disperse’:** *ghmertma gigikaros, ratskha derdi gak* (May God make it disappear; some sorrow has vanished).

**shektseva – to turn back’, to return’:** *k’arshi ar guushvebdit, ar shuuktsioso* (They wouldn’t let him in the house, saying: ‘May he never return).

**modrek’a, modrek’ili, modrek’iloba – to humble oneself’, to bend down’, to kneel’; bending’:** *shuamtashi shevel, ek’lesia dabali iqo, modrek’ili shevel* (We entered Shuamt’a; the church was low, so we had to bend to enter).

**tsudi – worthless’, ineffective’:** *tsude ram yarebi* (A worthless wound it was).

**dzeli/shesha – timber’, plank’, log’:** *dzelis sakhleb gavak’etebdit; shishis(<sheshis)mukhi gaak’atavden* (We built houses from timber; they made a bench from oak firewood).

**jinch’veili – nettle’:** *jinch’veilia, ant’eroghli ant’eri!* (It’s nettle, That annoying ant!).

**mzis-tvali – literally eye of the sun’, sun’:** *erti-ori dghe tsivia, imis uk’an zitvalia; bzituali chevda, go, ar shegets’qina?* (It’s cold for a day or two, then the sun returns; The sun came out—did it bother you?).

**suli – scent’:** *ra k’ay suli gidiso* (What a nice scent you’re giving off).

**t’arosi – weather’:** *t’arosebi atsivdeba, ts’avalt* (The weather is getting colder, let’s go).

The Southern dialects contain numerous additional lexical items that also appear in early Georgian literary scripture. These linguistic parallels provide valuable material for exploring the relationship between these dialectal forms and the literary tradition of the Georgian language.

**Keywords:** Southern dialects, Adjarian, Shavsheti, Klarjeti, Tao, archaic lexicon, literary Georgian language.